ბავშვების შესახებ კათოლიკე ეკლესიის და საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის თანამედროვე დისკურსების მიმართება საზოგადოების დამოკიდებულებასა და ქრისტიანული თეოლოგიის საწყისებთან

კონსტანტინე ჩაჩიბაია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე რელიგიის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

რელიგიის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ სონღულაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

კონსტანტინე ჩაჩიბაია

28.02.2020

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ბავშვების შესახებ თანამედროვე დისკურსის განვითარება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და კათოლიკე ეკლესიაში და მისი კავშირი ქრისტიანული თეოლოგიის საწყისებთან; შესწავლილია, თუ როგორ წარმოაჩენს ბავშვებს სახარება (ოთხი კანონიკური სახარების მიხედვით) და ახალი აღთქმის კორპუსის არასახარებისეული ტექსტები; აგრეთვე მიმოხილულია ქრისტიანობის გავრცელების პარალელურად I-IV საუკუნეების ბერძნული და რომაული საზოგადოებების დამოკიდებულება ბავშვების მიმართ. ნაშრომის ბოლოს კი გაანალიზებულია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და კათოლიკე ეკლესიის თანამედროვე დისკურსი ბავშვების შესახებ რამდენად პასუხობს თანამედროვე სამყაროში ბავშვების წინაშე მდგარ პრობლემებს და აქვს თუ არა ამ დისკურსებს კავშირი შენარჩუნებული ქრისტიანული თეოლოგიის საწყისებთან.

სახარებების ანალიზი გვაჩვენებს, რომ ბავშები, როგორც პირდაპირი, ასევე მეტაფორული მნიშვნელობით, ამ ტექსტის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟები არიან. ასეთივე დასკვნა გამომდინარეობს ახალი აღთქმის სხვა წიგნების ანალიზიდანაც, რომლებიც განაგრძობენ ბავშვების განსაკუთრებულობის შესახებ სახარებებში დაწყებულ თხრობას. განსხვავება არასახარებისულ ტექსტებსა და სახარებას შორის, შედარებით, შესამჩნევია ბავშვების, როგორც ოჯახის შემადგენელი წევრების, შესახებ მსჯელობაში.

I–IV საუკუნეების ბერძნულ-რომაული საზოგადოებისთვის ბავშვების შესახებ ქრისტიანული ხედვა მიუღებელი და გაუგებარია.

ნაშრომში წარმოდგენილია თანამედროვე ეპოქის ის ძირითადი პრობლემები, რომელთა დაძლევაც ბავშვებს უხდებათ და განხილულია ამ პრობლემების კომპლექსურობა.

ნაშრომის ბოლო ორ თავში შემოთავაზებული ანალიზით, დადგინდა, რომ, განსხვავებით I-IV საუკუნეებისგან, როდესაც ქრისტიანულმა თემმა შეძლო, მხარი დაეჭირა ბავშვების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების პროგრესული ცვლილებისთვის, თანამედროვე ეპოქაში კათოლიკე ეკლესია და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესია ვერ ახერხებენ მიმდინარე სოციალური ცვლილებების ფონზე ბავშვების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად პროგრესული ალეტრნატივის შეთავაზებას საზოგადოებისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ბავშვი, ოჯახი, მშობლები, ეკლესია, ქრისტიანობა, საზოგადოება.

Abstract

The present paper discusses the development of modern discourse on children in the Georgian Orthodox Church and the Catholic Church and its connection with the beginnings of Christian theology. It examines how children are presented in the Gospel (according to the four canonical gospels) and the non-Gospel texts of the New Testament. During the spread of Christianity, the attitudes of Greek and Roman societies in the I-IV centuries are also highlighted. Finally, at the end of the study it is analyzed how the contemporary discourse on children of the Georgian Orthodox Church and the Catholic Church respond to the problems facing children in the modern world and whether these discourses have anything retained from the beginnings of Christian theology.

The analysis of the Gospel reveals that children are, literal as well as the metaphorical sense, one of the main characters in this text. The same conclusion is drawn from the other books of the New Testament that continue the narration of the uniqueness of children begun in the Gospels. The difference between the non-Gospel and the Gospel is relatively noticeable in the discussion of children as a part of the family.

The Christian view of children in Greek and Roman societies in the I – IV centuries is unacceptable and incomprehensible.

The paper presents the major problems of the modern age that children have to overcome and discusses the complexity of these problems.

It was found by the proposed analysis in the last two chapters that, contrast to the I-IV centuries, when Christian community managed to support the progressive changes in society's attitude towards children, in the modern age, the Catholic Church and the Georgian Orthodox Church are failing to offer a progressive alternative to society in order to ensure the well-being of children amid ongoing social changes.

Key words: children, family, parents, church, Christianity, community.